განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**
**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროოგრამა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
**სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
09. 11. 20

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.12.20

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, 7 წლის ვადით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #14, 2020, 02. 03 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დანერგილი იყო 2010 წლიდან ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპრამენტის ბაზაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №1987 დადგენილების საფუძველზე, მოხდა ფაკულტეტის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შესაბამისად, 2016-2017 წწ. სასწავლო წლიდან პროგრამა ხორციელდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, იმავე დეპრამენტის ბაზაზე. პროგრამის აკრედიტება მოხდა 2012 წლის 24 სექტემბერს (გადაწყვეტილება N449).
2019 წელს პროგრამა წარდგენილი იყო ხელახალ აკრედიტაციაზე. 2020 წლის მარტში პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით, მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით, რადგან აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც ძალაში შედიოდა 2020 წლის 1 ივნისს. ვინაიდან აკრედიტირებული პროგრამა სტუდენტებს მიიღებდა 2020 წლის შემოდგომიდან, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანი იყო, პროგრამა აკრედიტაციის დროს ყოფილიყო სანონმდებლობასთან და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში. ასევე, ექსპერტების მიერ გაცემული იყო პროგრამასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ცალკეული საგნების სილაბუსებს, ასევე, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას და სხვ.

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, #3200001067138 04/11/20, 2020 წლის 9 ნოემბერს განხორციელდა აკრედიტიაციის ექსპერტების ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, ვიზიტი განხორციელდა ონლაინ ფორმატში, Zoom პლატფორმის გამოყენებით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ვიცე-რექტორთან, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აკრედიტაციის შემდგომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს.

მონიტორინგის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ასევე, შესრულებულია რეკომენდაციათა და რჩევათა დიდი ნაწილი. მოხდა პროგრამის განახლება და მოდერნიზება. ამასთან, მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაზე დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვაზე, განსხვავებებზე ძველსა და ახალ პროგრამებს შორის, ასევე, ონლაინსწავლების თავისებურებებზე, საუნივერსიტეტო ბაზებზე და ელექტრონულ რესურსებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  აკრედიტაციის მონიტორინგის ექსპერტებმა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნიდან, ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, განიხილეს პირველი და მეორე სტანდარტები სრულად, ასევე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები ნაწილობრივ.

  პირველი სტანდარტი შესავბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეორე სტანდარტი შესავბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეოთხე სტანდარტი შესავბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეხუთე სტანდარტი შესავბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

სილაბუსების ნაწილში, მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი და სხვ. მითითებულია თეორიები გრამატიკის შესახებ და სხვა სახის დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, არ ემსახურებოდეს უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს. მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლების

მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო კურსებში ასახული იყოს გრამატიკული საკითხები არა განყენებულად, არამედ, აქტუალური სასწავლო თემების კონტექსტში და მათთან ინტეგრირებულად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასევე შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტი. აღნიშნული ტესტირება არ წარმაოდგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სასუსრველია, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით.
  - სასურველია გაგრძელდეს მუშაობა დარგობრივ კურსებზე და პროგრამას დაემატოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით შემუშავებული დარგობრივი სავალდებულო არჩევითი კურსები.
  - ზოგ შემთხვევაში შეინიშნება სასწავლო კურსის შინაარსის დუბლირება. კერძოდ, ცალკეული თემები სრულად ან ნაწილობრივ მეორდება საგნებში: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი, ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი A და B ბლოკი. აღნიშნული გამოწვეულია ცალკეული საკითხების სიღრმისეული და ზოგადი სწავლების საჭიროებებისგან, თუმცა სასურველია, გათავისუფლდეს სილაბუსების შინაარსი დუბლირებისაგან.
  - ცალკეულ კურსებში გამოიყენება საშინაო დავალების მხოლოდ ერთი ფორმა, რაც მიანიშნებს სწავლების ერთფეროვან მიდგომებზე. სასურველია დაიხვეწოს პროგრამაზე სწავლების მეთოდოლოგია ცალკეულ საგნებში და აისახოს სილაბუსებში, მრავალფეროვანი გახდეს როგორც სწავლების მეთოდები, ისე დავალებისა და გამოკითხვის ფორმები, მათ შორის, ერთი საგნის ფარგლებშიც.

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ჩატარდეს დარგობრივი ტრენინგები/ვორქშოფები მეორე ენის/უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულ ენაში ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) მიცემა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, ქართველ საზოგადოებაში მარტივად ინტეგრირებისათის ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ღირებულებების სწავლება პრინციპით: ენა კულტურით და კულტურა ენით.<br>○ 2020 წლის მარტში პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით, მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით, რადგან აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც ძალაში შედიოდა მისი აკრედიტაციის შემდეგ - 2020 წლის 1 ივნისს. ვინაიდან აკრედიტირებული პროგრამა სტუდენტებს მიიღებდა 2020 წლის შემოდგომიდან, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანი იყო, პროგრამა აკრედიტაციის დროს ყოფილიყო კანონმდებლობასთან და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში. ასევე, ექსპერტების მიერ გაცემული იყო |

| |
|---|
| პროგრამასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ცალკეული საგნების სილაბუსებს, ასევე, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას და სხვ.<br>○ მონიტორინგის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ასევე, შესრულებულია რეკომენდაციათა და რჩევათა დიდი ნაწილი. მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. ამასთან, მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაზე დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკაში დანეგვაზე, განსხვავებებზე ძველსა და ახალ პროგრამებს შორის, ასევე, ონლაინსწავლების თავისებურებებზე, საუნივერსიტეტო ბაზებზე და ელექტრონულ რესურსებზე. წარმოდგენილი პროგრამას აქვს ნათლად გამოკვეთილი მიზნები, რომლებიც შეესაბამება მიმდინარე კანონმდებლობას და შეესაბამება პროგრამის შედეგებს, ასახავს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის მიზანშეწონილ საკითხებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ 01-05-04/ 108 14. 08. 2020<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგებიჯ პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის მოწვეულ პერსონალთან<br>○ |
| **რეკომენდაციები:** |

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაშვების წინაპირობა შეიცვალა ა და ბე ბლოკის მიხედვით საკონტაქტო საათების ხარჯზე. ა ბლოკში შედარებით მარტივი საკითხებია და ბე ბლოკში შედარებით რთული

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს საგანმანათლებლო პროგრამისათვის რელევანტურ და შესაბამის უნარებს, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები რეალისტურია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.
- პროგრამაში ჩართული პირები მონაწილეობდნენ პროგრამის შედგენასა და სრულყოფაში.
- პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილი უნარები ცალკეული საგნების სილაბუსების მიხედვით არის გაზომვადი, თუმცა სილაბუსებში არ არის ნათლად წარმოდგენილი, თუ რა მეთოდებით მიმდინარეობს სწავლება. სასურველია, დაიხვეწოს ცალკეული საგნების სილაბუსები მეთოდოლოგიური ჩარჩო და დაექვემდებაროს მეორე ენის სწავლების მეთოდურ საკითხებს (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. 2. 1; 2. 2; 2. 3; 2. 4).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ 01-05-04/ 108 14. 08. 2020
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგებიჯ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის მოწვეულ პერსონალთან

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების (აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი) ტესტების შედეგების საფუძველზე. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, სავალდებულოა პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა გაიარონ პრეტესტი, რათა განისაზღვროს მათი საწყისი ენობრივი კომპეტენციები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სააკრედიტაციოდ წარდგენის დროს, 2019 წელს და ასევე, 2020 წლის მარტში, აკრედიტაციის მინიჭების დროს არ იყო შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან, რის შესახებაც არსებობდა შესაბამისი რეკომენდაციები (იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა; |

| |
|---|
| აკრედიტაციის საბჭოს ოქმი და დადგენილება). ამჟამად აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. განახლებული პროგრამის აღწერაში აღნიშნულია: „სტუდენტთა ჩარიცხვა ჯგუფებში მოხდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები – წერილობით პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტისა და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) სტუდენტები გადანაწილდებიან სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში“.<br>○ აკრედიტაციის ექსპერტებმა მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოითხოვეს დაწესებულებიდან პრეტესტის ნიმუში, რომლის მიხედვითაც დგინდება, თუ ენის ფლობის რომელ საფეხურზე მოხვდებბა სტუდენტი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დაწესებულებამ განმარტა, რომ გლობალური პანდემიის გამო პრეტესტების შევსება სტუდენტთა სრული კონტიგენტის მიერ ვერ მოხერხდა, რადგან სტუდენტების ნაწილმა ვერ შეძლო უნივერსიტეტში მისვლა. ამიტომაც საწყისი ენობრივი კომპეტენციები განისაზღვრა ზეპირი აუდიო და ვიდეო გასაუბრებების საფუძველზე, თუმცა სტუდენტებს რამდენიმე კვირის განმავლობაში ჰქონდათ საშუალება საჭიროების მიხედვით ჯგუფები შეეცვალათ.<br>○ უნდა აღინიშნოს ასევე, რომ კურსიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფაში მოცემულია ასევე ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტისტიორების შესახებ. აღნიშნული გარემოება დაბნეულობას გამოიწვევს აბიტურიენტებში, რადგან ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირება არ წარმაოდგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების |

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ 01-05-04/ 108 14. 08. 2020<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგებიჯ პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>• პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასევე შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტი. აღნიშნული ტესტირება არ წარმაოდგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სასუსრველია, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ სასწავლო წელს (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი). 1 კრედიტის ოდენობა 25 საათია, რომელშიც იგულისხმება სტუდენტისთვის განკუთვნილი როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.
- 2019 წელს საავკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ქართულ ენაში მომზადების დარგობრივ მახასიათებელთან. აღნიშნულთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები. ამჟამად აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია და საგანმამათლებლო პროგრამა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს. კერძოდ: პირველ სემესტრში სასწავლო კურსები დაყოფილია A და B ბლოკებად. პირველი სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს, არჩევით A და B ბლოკებს (30 კრედიტი). A არჩევითი ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, მეტი საკონტაქტო საათების ოდენობასა და ტუტორის აქტიურ დახმარებას. B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის (B1 და მეტი) მქონე სტუდენტებზეა გათვლილი, ნაკლები საკონტაქტო საათებით. პირველ სემესრში სტუდენტთა საწყისი ენობრივი დონეების განსხვავება თანაბრდება საკონტაქტო საათების დამატებით და ტუტორების ინსტიტუტის შემოღებით. როგორც დაწესებულებამ განმარტა,

ტუტორები არიან პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ სწავლას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

- მეორე სემესტრი მოიცავს ხუთ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და რვა 5 კრედიტიან სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსს, დარგობრივ ლექსიკას, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს ერთს, იმ დარგობრივ ლექსიკას, რომელ სპეციალობაზეც გააგრძელებს სწავლას ბაკალავრიატში. აღნიშნული დარგობრივი სასწავლო კურსები შემუშავებულია პროგრამის მოდიფიცირების შედეგად. აკრედიტაციის მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებამ განმარტა, რომ დარგობრივი კურსები მეტნაკლებად ფარავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და მიმართულებებს და ზოგ შემთხვევაში წარმოადგენს ფაკულტეტებისა და მიმართულებების გაერთიანებას, რაც დასაშვებია და პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება. სულ შეთავაზებულია რვა სავალდებულო დარგობრივი კურსი. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ დარგობრივ კურსებს კითხულობენ დარგის სპეციალისტები, რაც ასევე დადებითად უნდა შეფასდეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ 01-05-04/ 108 14. 08. 2020
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგებიჯ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაგრძელდეს მუშაობა დარგობრივ კურსებზე და პროგრამას დაემატოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით შემუშავებული დარგობრივი სავალდებულო არჩევითი კურსები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 2019 წელს სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამა არ იყო შესაბამისობაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან. კერძოდ, არ იყო დაყოფილი ენის ფლობის დონეების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში არ იყო შეთავაზებული დარგობრივი კურსები და სხვა. აკრედიტაციის ექსპერტებმა გამოტქვეს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციები. მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია. პროგრამა მოდიფიცირებულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. დაზუსტდა და განისაზღვრა სტუდენტთა საწყისი ენობრივი კომპეტენციები, ასევე, სასწავლო კურსებში შეთავაზებულია დარგობრივი სავალდებულო არჩევითი კურსები. ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე შემოღებულია ტუტორების ინსტიტუტი.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ამჟამად შედგება სავალდებულო და სავალდებულო/არჩევითი კურსებისაგან. პირველი სემესტრი დაყოფილია არჩევით A და B ბლოკებად. არჩევითი A ბლოკის საგნებია: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ქართული ენის ლექსიკა, ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი 1, ქართული ენის ფონეტიკა, ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1; ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები). არჩევითი B ბლოკის საგნებია: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ქართული ენის ლექსიკა, ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი 1, ქართული ენის ფონეტიკა, ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი 1; ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები). მეორე სემესტრში სტუდენტთა საწყისი ენობრივი დონე ერთიანდება და სავალდებულო საგნებიაᲰ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები; ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2; ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2; ქართული მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები; ქართული ენის გრამატიკა (სინტაქსის საკითხები). ასევე, მეორე სემესტრში სასწავლო პროგრამაში შედის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები: დარგობრივი ლექსიკა (სოციოლლოგია, მასობრივი კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა); დარგობრივი ლექსიკა (ეკონომიკა, ბიზნესი); დარგობრივი ლექსიკა (სატრანსპორტო); დარგობრივი ლექსიკა (მშენებლობა არქიტექტურა); დარგობრივი ლექსიკა (ქიმია); დარგობრივი ლექსიკა

(ინფორმატიკა).

- აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები ეხებოდა აგრეთვე სასწავლო კურსების შინაარსს, რადგანაც სასწავლო კურსების დიდ ნაწილში სწავლების მიზნები და შედეგები არ შეესაბამებოდა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნებსა და შედეგებს. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ეხებოდა საგნებს: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი, ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი, ქართული ენის ფონეტიკა, ქართული ენის გრამატიკა და სხვა. აღნიშნული რეკომენდაციები სრულად იყო გაზიარებული აკრედიტაცის საბჭოს მიერ. დაწესებულება შეეცადა სრულად გაეზიარებინა რეკომენდაციები. მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებამ განმარტა, რომ დაზუსტდა სასწავლო კურსების შინაარსი, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შესაბამისობაში მოვიდა მეორე ენის სწავლების, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში არსებულ მიზნებთან და შედეგებთან.
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მართლაც ცხადყოფს, რომ სასწავლო კურსების შინაარსი შეიცვალა, გამარტივდა, ზოგ შემთხვევაში, რეკომენდაციების შედეგად, გაერთიანდა საგნები და სხვა, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეინიშნება სასწავლო კურსის შინაარსის დუბლირება. კერძოდ, ცალკეული თემები სრულად ან ნაწილობრივ მეორდება საგნებში: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი, ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი A და B ბლოკი. აღნიშნული გამოწვეულია ცალკეული საკითხების სიღრმისეული და ზოგადი სწავლების საჭიროებებისგან, თუმცა სასურველია, გათავისუფლდეს სილაბუსების შინაარსი დუბლირებისაგან.
- სასწავლო კურსების სილაბუსები მნიშვნელოვანი გზამკვლევია როგორც ლექტორებისთვის, ისე, განსაკუთრებით, სტუდენტებისათვის. სილაბუსების ნაწილი გამართულია მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხოლო სილაბუსების ნაწილში, მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი და სხვ. მითითებულია გრამატიკული და სხვა სახის დარგობრივი სამეცნიერო ტერმინოლოგია, რომელიც შესაძლოა, დამაბნეველი იყოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის. მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო კურსებში ასახული

| |
|---|
| იყოს არა მხოლოდ ცალკეული გრამატიკული საკითხები, არამედ, აგრეთვე, თემები, რომელთა მიხედვითაც მოხდება გრამატიკული ნორმების, მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ 01-05-04/ 108 14. 08. 2020<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგებიჯ პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>○ სილაბუსების ნაწილში, მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი და სხვ. მითითებულია თეორიები გრამატიკის შესახებ და სხვა სახის დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, არ ემსახურებოდეს უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს. მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო კურსებში ასახული იყოს გრამატიკული საკითხები არა განყენებულად, არამედ, აქტუალური სასწავლო თემების კონტექსტში და მათთან ინტეგრირებულად. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

| |
|---|
| • ზოგ შემთხვევაში შეინიშნება სასწავლო კურსის შინაარსის დუბლირება. კერძოდ, ცალკეული თემები სრულად ან ნაწილობრივ მეორდება საგნებში: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი, ქართული წერითმეტყველების პრაქტიკული კურსი A და B ბლოკი. აღნიშნული გამოწვეულია ცალკეული საკითხების სიღრმისეული და ზოგადი სწავლების საჭიროებებისგან, თუმცა სასურველია, გათავისუფლდეს სილაბუსების შინაარსი დუბლირებისაგან. |
